ხელშეკრულება № 42/03-05/25
აუდიტორული მომსახურების გაწევაზე

ქ. ბათუმი 19 მარტი 2014 წ

შპს „ეკონომიკა-აუდიტი", რომელსაც წარმოადგენს *დირექტორი ლიანა დავითაძე,* შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული, მეორეს მხრივ **სსოპ „ბათუმის №14 საჯარო სკოლა"** შემდგომში "კლიენტად" წოდებული, რომელსაც წარმოადგენს დირექტორი

(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

თემურ სირაბიძე თამუკანი 21 ქ

(სახელი, გვარი თანამდებობა)

დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. კლიენტი ავალებს, ხოლო აუდიტორი კისრულობს ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება და მისი შედეგების მიხედვით მისცეს დასკვნა.

1.2. ხელშეკრულების საგანი: უძრავი ქონების იჯარით სარგებლობაში გადაცემისას საწყისი საფასურის ოდენობის განსაზღვრა. (CPV: 79212000)

1.3. აუდიტორის თანამშრომელთა სია, რომლებიც უშუალოდ ჩაატარებენ შემოწმებას, დადგენილია ამ ხელშეკრულებით: მალხაზ ქარცივაძე.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. აუდიტორი ვალდებულია:

2.1.1. დაიწყოს კლიენტის შემოწმება არა უგვიანეს „19" მარტი 2014 წ.

2.1.2. დაიცვას კლიენტის საწარმოში დადგენილი წესები.

2.1.3. შემოწმების დასრულების შემდგომ წარუდგინოს კლიენტს აუდიტორული დასკვნა მხარეების მიერ გაწეული მომსახურების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

2.1.4. კლიენტისათვის კონსულტაციების მიცემის და კლიენტის შემოწმებისას გამოიყენოს კანონიერი მეთოდები და საშუალებები და იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.1.5 არ გაახმაუროს შემოწმების პროცესში მიღებული ინორმაცია და მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას ან არის კლიენტის კომერციული საიდუმლო.

2.1.6. დაამთავროს შემოწმება 2014 წლის 28 მარტამდე -მდე.

2.2. კლიენტი ვალდებულია:

2.2.1. გადასცეს აუდიტორს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელთა ნუსხასაც წარუდგენს აუდიტორი წერილობით მოთხოვნაში შემოწმების დაწყებამდე.

2.2.2. გამოყოს სამუშაო ადგილი აუდიტორის თანამშრომლებისათვის საჭირო მოწყობილობით ამ სახის სამუშაოს ჩასატარებლად.

2.2.3. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს აუდიტორის თანამშრომლებისათვის განმარტებების მიცემის დროს თავისი თანამშრომლების დასწრება.

2.2.4. დროულად აანაზღაუროს აუდიტორის მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. აუდიტორის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება შეადგენს 100,00 (ასი) ლარს.

3.2. ანაზღაურება უნდა მოხდეს კლიენტის მიერ ანგარიშის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში აუდიტორის ანგარიშზე სახსრების გადარიცხვის გზით.

3.3. ანგარიში უნდა იყოს წარდგენილი გაწეული მომსახურების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის შემდეგ 3 დღის განმავლობაში. აქტი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომსახურების საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს აუდიტორს ჯარიმა გადასახდელი თანხის _____ ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.2. აუდიტორის მიზეზით კლიენტისთვის დასკვნის გადაცემის დაგვიანებისათვის აუდიტორი იხდის პირგასამტეხლოს მომსახურების სრული საფასურის _____ ოდენობით.

4.3. სხვა შემთხვევებში ამ ხელშეკრულებით თავისი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ გაწეული მომსახურების ღირებულების ოდენობის თანხით.

5. დავათა გადაჭრა

5.1 დავები მხარეებს შორის უნდა გადაიჭრას მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1 ეს ხელშეკრულება შედის ძალაში ორივე მხარის მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ყველა ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

6.2. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება უნდა შესრულდეს იმავე ფორმით, როგორც თვით ხელშეკრულებაა და ხელმოწერილი უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის და მათ აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა.

7. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

კლიენტი სსიპ „ბათუმის №14 საჯარო სკოლა", ბათუმი, ინასარიძის № 11, სს „ლიბერთი ბანკი" ბ/ფ, ანგ №**GE16LB0121137795843000**, ტ:577304122, 577304155.

შემსრულებელი შპს „ეკონომიკა-აუდიტი", ნ. იმნაძის ქ. № 6, ტელ:7-70-27, „პროკრედიტ-ბანკი" ანგარიშის № **GE 30 PC00 3360 0100 024089 GEL**, კოდი **MIBGGE 22**,საიდ. №245425883.

შემსრულებელი

ხელმოწერა თბილისი

ბ.ა.

კლიენტი

ხელმოწერა თბილისი

ბ.ა.

აუდიტორული დასკვნის მიღება-ჩაბარების აქტი 42

ქ. ბათუმი

2014 წლის 21 მარტი
შედგენის თარიღი

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი **შპს „ეკონომიკა-აუდიტი"-ს** დირექტორი **ლიანა დავითაძე** და **სსიპ „ბათუმის № 14 საჯარო სკოლის"** დირექტორი **თემურ სირაბიძე** ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ გაწეულია აუდიტორული მომსახურება: არასაცხოვრებელი ფართის იჯარით სარგებლობაში გადაცემისას საწყისი საფასურის ოდენობის განსაზღვრა.

გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 100,00 ლარს.

შპს „ეკონომიკა-აუდიტი" დირექტორის ხელმოწერა	ხელმოწერის თარიღი:	საბანკო ანგარიში	საიდენტიფიკაციო №
	21.03.14	პროკრედიტბანკი ანგ № GE30PC00 33600100024089	245 425 883

სსიპ „ბათუმის № 14 საჯარო სკოლის" ხელმძღვან. ხელმოწერა	ხელმოწერის თარიღი:	საბანკო ანგარიში	საიდენტიფიკაციო№
	21.03.14	სს „ლიბერთი ბანკი" ანგ № GE16LB01211 37795843000	245 428 997